# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 395

28 დეკემბერი
"---" ---------- 2018 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2019 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2019 წელს შრომითი ხელშეკრულებით პირთა ასაყვანად, დაწესდეს წლიური სახელფასო ლიმიტი შემდეგი ოდენობით: ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით - 60 000 (სამოციათასი) ლარი (თვეში არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარი). იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი გაიზარდოს 1300 (ერთიათასსამასი) ლარით და ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი განისაზღვროს შესაბამისი პროპორციით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2018 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N76 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

4. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**